საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 21 ივნისი. 2023 წ. №71 (9603) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

დიდი ომი ახლა იწყება!

ევროპული შორ მანძილზე მოქმედი საზენიტო-სარაკეტო სისტემა უკვე უკრაინაშია

ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა პარიზში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც მან ევროპის საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის საკითხზე ისაუბრა.

თებერვალში ცნობილი გახდა, რომ იტალია და საფრანგეთი მზად იყვნენ უკრაინის ცის დასაცავად Archetypes სისტემები გადაეცათ. მარტში მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 20-მა უკრაინელმა სამხედრომ იტალიაში SAMP/T-თან სამუშაოდ წვრთნები გაიარა.

სერგეი შოიგუ ახალი დარტყმებით იმუქრება

რუსეთის თავდაცვის მინისტრი კიევს ახალი დარტყმებით ემუქრება. სერგეი შოიგუ აცხადებს, რომ უკრაინა რუსეთის ტერიტორიაზე, მათ შორის ყირიმზე ამერიკული და ბრიტანული რაკეტებით თავდასხმას გეგმავს.

მისი თქმით, თუ უკრაინა შორი მოქმედების დასავლურ რაკეტებს ყირიმში გამოიყენებს, მოსკოვი ამ ფაქტს შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ომში პირდაპირ ჩართვად განიხილავს და დაუყოვნებლივ მიიტანს იერიშს კიევში სამთავრობო ობიექტებზე.

ირაკლი ღარიბაშვილი NDI-ის პრეზიდენტს დერეკ მიტჩელს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პრეზიდენტს, დერეკ მიტჩელს შეხვდა.

საუბარი შეეხო NDI-ის ხანგრძლივი და აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და კარგი მმართველობის მხარდასაჭერად. გამოითქვა მზაობა, რომ საქართველოს მთავრობასა და NDI-ს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის დინამიკა გაგრძელდება და მომავალში არაერთი მნიშვნელოვანი ერთობლივი პროექტი განხორციელდება. ყურადღება დაეთმო საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიულ პარტნიორობასა და აშშ-ის მხრიდან 30 წლის განმავლობაში გაწეული ურყევი მხარდაჭერის მნიშვნელობას.

ძირს კოლექტიური ყორღანაშვილები!

რატომ იწურავენ ოფლს

„საქართველოთი დაღლილი“ ევროპარლამენტარი ქალბატონები?

იხ. 2 გვ.

„ცოცხლდება ჩვენს წინ მკრთალი სახე ფერების მგოსნის“!

7

ღია წერილი თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს

ქალბატონო კელი დეგნან

შეწყვიტეთ ლიბერალ-ფაშისტური ორგანიზაციების დაფინანსება!

3

აშშ-ის პრეზიდენტის შვილი თაღლითია!

აშშ-ის პრეზიდენტის შვილმა, ჰანტერ ბაიდენმა მისთვის წაყენებულ სამ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. ორი ბრალდება საშემოსავლო გადასახადის განზრახ გადაუხდელობას ეხება, ხოლო მესამე ბრალდება კი იარაღის ფლობის წესის დარღვევას.



რატომ ინწუნავენ ოფლს „საქართველოთი დაღლილი“ ევროპარლამენტარი ქალბატონები?

კალიურანდი

ფოტიგა



თითქოს უბრალო და იოლი შეკითხვაა: რისგან იღლება ადამიანი? რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, იღლება შრომისგან, როცა ხელში ოროყიანი თოხი უჭირავს და ჯიუტად, იმ იმედით აღვსილი, რომ წლის სარჩოს შეიტანს ოჯახში, პიროფლიანი უბაყუნებს მიწას, ლამის ცოცხალმკვდარი ბრუნდება შინ და ბედნიერი ძილით იძინებს.

არის მეორეგვარი დაღლაც – ენამრავლობით, ენაგრძელობით, ჭორიკანობით, უზნეო ლაქლაქით, სამშობლოს დასმენით, გოროტის ჩხიბვით... ერთი სიტყვით, სალომე სამადაშვილობით!..

ამ დროსაც იღლები, მაგრამ არ ნებდები, ეშმაკი არ გასვენებს, დღე და ღამე ენა შარაზე გაქვს გადებული, მით უფრო, თუ შინ და გარეთ კიდევ გყავს ტაშის დამკვრელ-თვალის მადევნებელი.

აი, გამობრძანდნენ იმ დღეს ევროპარლამენტში აგრერიგად ცნობილი ქალბატონები კალიურანდი და ფოტიგა და დაცვარული შუბლების მშრალებით, შემდეგ კი სველი ცხვირსახოცების წურვით განაცხადეს, დავიღალეთ, ბატონო, ამ საქართველოს მაღვალაკური ამბებითო, ანუ საქართველოს გლახა ამბების მოსმენა-განხილვითო. ოღონდ, უნდა გავამხილოთ, დავიღალეთო რომ თქვეს, ეს ისე, უცხო ყურისთვის თქვეს, თორემ საქართველოს უამური ამბების სმენითა და თამაშით – „მოისმინე, დაუმატე და გადაეცი მთელ პარლამენტს“ რა დაღლით ამ მართლაც მოუღლელ, საპატიო ასაკისა და მდგომარეობის ქალბატონებს?

ერთი კია: თუ ადრე ევროპარლამენტიდან ყოველ ჩაფოტიგება-ჩაკალიურანდებას საქართველოში გულამოსკვნილი ფიცით პასუხობდნენ, მთლად ეგრე არ არის ყველაფერიო, ახლა სამართალმა პური ჭამა და შეურაცხყოფილმა, თავში ჩარტყმულმა, უსაფუძვლოდ ბრალდებულმა ქვეყანამ ხმა ამოიღო, თავისი სიმართლის დამტკიცება დაიწყო ყოველ ჩანისკარტებაზე, რაც ძალიან აღიზიანებთ და ღლით მეგობარ, მხარდამჭერ ქალბატონებს.

თუ მოვლენათა მსვლელობას დავაკვირდებით, ეს დაღლილობაზე განცხადებები თანდათან მოხშირდა და შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილის სწორი გზიდან გადახვევის, ევროპული იდეალების გამუდმებული ღალატის, რუსეთის ჯაშუშობის პერმანენტულ ბრალდებებად იქცა.

მთელი ზემორეთქმული იმ ოფლის წურვის წამახალისებელი, შთამაგონებელი და დამფასებელი ისევ ჩვენი ხალხია – ფოტიგაშვილები, კალიურანდიშვილები... სწორედ ისინი იყვნენ ამას წინათ სიხარულის ჟრიამული რომ ატეხეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა თავისთან დაიბარა ბერლინში და, რა თქმა უნდა, ტყავს გააძრობსო. აქ რამდენიმე მომენტია ყურადღებაგასამახვილებელი: 1. დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელი მეორე, მართალია, პატარა, მაგრამ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს პრემიერს თავისთან იბარებს, იხმობს, იძახებს; 2. იბარებს, რა თქმა უნდა, ურჩობის, წაბორძიკების, შეცდომების, გერმანიისთვის მიუღებელი ნაბიჯების გამო; 3. ბერლინში „დაბარებულ“ საქართველოს პრემიერს აუცილებლად დასჯიან (დაბარება სწორედ ამას გულისხმობს); 4. ოღონდ, გაურკვეველია კონკრეტულად რა „დააშავა“ საქართველომ; 5. ურჩი პრემიერის დასჯა ოპოზიციისთვის უაღრესად სასარგებლო საქმეა, ღარიბაშვილი მუდმივად უნდა გრძნობდეს მათრახის სუსხს...

ამ შხამიანი ოპოზიციის დღევანდელი დაუნდობელი ჩალიჩი სხვა არაფერია, თუ არა კოლექტიური კახაბერ ყორღანაშვილობა, მუდმივი დაბეზღება ქვეყნისა, მისი მთავრობისა, კონკრეტული ადამიანებისა, დაბრალება, რომ მათ გადაუხვიეს ევროპულ გზას, უღალატეს ამერიკულ იდეალებს, შეეკრნენ რუსეთს, ფეხებზე დაიკიდეს თითქმის სახარებას გატოლებული თორმეტი პუნქტი...

ხედავთ, რამდენ პრობლემას, მომწიფებულ საკითხს წყვეტს ურჩთა დაბარება პოტენციური დამსჯელის ბუნაგში? ამიტომ ასმენენ, აბეზღებენ, აცამტვერებენ თბილისს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბრიუსელსა და ვაშინგტონში ღალატის ფორმულად ქცეული სალომე სამადაშვილები და გიორგი ვაშაძეები.

ერის ისტორიული მეხსიერება არაერთ ასეთ „დაბარებას“ ინახავს. გავიხსენოთ ორი მათგანი, ყველაზე ცნობილი.

რომის იმპერატორმა ადრიანემ ქართლის მეფე ფარსმან II, ქველს (II საუკუნის I ნახევარი) მოსთხოვა რომში გამოცხადებულიყო. იმან გააცოფა, რომ ფარსმანმა, "კაცმა კეთილმა და უხვად მომნიჭებელმა და შემნდობელმა, ასაკითა შვენიერმა, ტანითა დიდმა და ძლიერმა, მხნე მხედარმა და შემმართებელმა ბრძოლისა, უშიშმა ვითარცა უხორცომ", ჯარი შეიყვანა სომხეთში, შემდეგ ალბანეთსა და კაბადოკიაში და ამ ქვეყნებიდან გააძევა რომაელნი. ქართლის მეფემ იმპერატორს ცივი უარი შეუთვალა რომში ჩასვლაზე. ადრიანე იძულებული გახდა დაეთმო. მან ფარსმანს იმდენი ძღვენი გამოუგზავნა, არავისთვის არასდროს რომ არ უბოძებია. ამას დაუმატა კიდევ 50 ლეგიონერი მეომარი და ერთი საბრძოლო სპილო. რომის იმპერატორი ბოლომდე დიდი პატივითა და სიფრთხილით ეპყრობოდა ფარსმანს. იმპერატორმა ცნო ქართლის სამეფოს საზღვრები ტრაპეზუნდ-ლაზეთის ხაზიდან მტკვრის ქვემო ბოლომდე და კავკასიონიდან არაქსამდე.

აქვე ვიტყვი: ფარსმან ქველს ადრიანეს მომდევნო იმპერატორი ანტონინუს პიუსიც ასეთივე პატივით ეპყრობოდა. მან ქართლის მეფე ოჯახითა და დიდი ამალით კი არ "დაიბარა", საგანგებოდ მიიწვია რომში. რამდენიმე დღიანი ნადიმის შემდეგ ფარსმანმა და მისმა ქართულმა ამალამ რომაელებს აჩვენეს ცხენოსნური ჯირითი, რამაც მასპინძლები უსაზღვროდ აღაფრთოვანა. იმპერატორის ბრძანებით მარსის მოედანზე აღმართეს ქართველი მეფის ქანდაკება. ანტონინუს პიუსმა ცნო ფარსმან ქველის სამეფოს ის საზღვრები, რომელიც წინა იმპერატორის ადრიანეს დროს დადგინდა.

პართელთა მეფე ვოლოგეზ III ვერ ურიგდებოდა ქართლის ესოდენ გაძლიერებას, ამიტომ ყოველმხრივ ეხმარებოდა მეფის განდგომილ ბიძაშვილს მირდატს. მოღალატეებმა ბოლოს მოახერხეს ფარსმანის მოწამვლა და მოკვლა.

ამჯერად ქართლის მეფის იმპერიის დედაქალაქში დაბარება საბედისწერო არ აღმოჩნდა, პირიქით – წყალობად ექცა ქვეყანას მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო.

ახლა მეორე მაგალითი ვნახოთ, ისტორიის ანალებში ასევე ფართოდ ცნობილი.

ერთიანი საქართველოს მეფე დემეტრე II (1271-1289 წ.წ.) დიდი თამარის ვაჟის გიორგი IV ლაშას შვილიშვილი, დედ-მამით ობოლი, 11 წლისა დაამტკიცა საქართველოს ხელმწიფედ მონღოლთა ყაენმა აბაღამ. იგი სისტემატურად მონაწილეობდა მონღოლთა დაუსრულებელ ომებში და საარაკო გმირობას იჩენდა.

1288 წელს გამჟღავნდა შეთქმულება ყაენის წინააღმდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი ნოინი, დემეტრე მეფის მძახალი (ქალიშვილის რუსუდანის მამამთილი) ბუღა ნოინი. ყაენის ბრძანებით თავები დააყრევინეს ბუღას ყვე-

ლა ნათესავს, ახლობელსა და მისგან დაწინაურებულ მოხელეს, ისეთებსაც კი შეთქმულებაზე რომ არაფერი გაეგონათ.

დემეტრე მეფეც იხმეს ილხანთა ურდოში. სიკვდილი გარდუვალი უნდა ყოფილიყო შეთქმულების მოთავის ეგზომ ახლობელი ადამიანისთვის. ამიტომ საგანგებო თათბირზე შეკრებილმა დარბაზმა ერთხმად თხოვა და მოითხოვა, არ წასულიყო მეფე ურდოში, არამედ გახიზნულიყო მთიულეთს ან ქუთაისს, მეფე კი მრძანებდა: მე რომ არ წავიდე, ქვეყანა უნდა დამიქციონ მონღოლებმა, ხალხი ამომიწყვიტონ, „აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღვთისა, უკეთუ მე მომკლან და ქვეყანა ჩვენი უვნებლად დარჩეს“.

და მეფე ურყევი ნებით გაეშურა სამხრეთისკენ. სხვათა შორის, ყაენის კარზე გასამართლებისას დემეტრემ თითქმის შეძლო თავის მართლება, მაგრამ ამის საშუალება არ მისცა თარჯიმანმა, საქართველოს ამირსპასალარმა ხუტლუ ბუღამ (ცნობილი მედროვის სადუნ მანკაბერდელის, გასომხებული ქურთის, ამირსპასალარად და ათაბაგად აღზევებულის შვილმა). იგი მცდარად უთარგმნიდა ყაენს მეფის სიტყვებს და დაღუპა კიდეც, რადგან მამის სიკვდილის შემდეგ დემეტრემ მას ათაბაგობა აღარ უბოძა, ამირსპასალარობას დააჯერა და განაწყენებულმა ამით იძია შური. 1289 წლის 12 მარტს დილით მოვაკანში არღუნ ყაენის ბრძანებით საქართველოს მეფეს თავი მოჰკვეთეს. მისი ცხედარი ერთგულმა მხლებლებმა მცხეთას ჩამოასვენეს.ხალხმა ერისთვის თავშეწირულ გმირს თავდადებული უწოდა. ქართულმა ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა. უთუოდ სათქმელია, რომ დემეტრე მამაა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ხელმწიფის გიორგი V ბრწყინვალისა, რომელმაც ქვეყანა მონღოლთა თითქმის ორსაუკუნოვანი უღლისგან გაათავისუფლა!

ეს ორი ნათელი ეპიზოდი ისტორიისა ძალზე ბევრს გვატყობინებს. პირველ ყოვლისა იმას, რომ დაუმარცხებელია სახელმწიფო, რომელსაც სათავეში უდგას ღირსეული ლიდერი, მეორე – საქართველოში ყოველთვის ბოგინობდნენ და შავ საქმეებს აკეთებდნენ მედროვენი და მოღალატენი. ჩვენ ჩვენი წინაპრების ალი-კვალი შთამომავლები ვართ. ჩვენ შეგვეძლო დიდ-პატარიანად გავმწყდარიყავით მარაბდის ბრძოლაში, შეგვეძლო დაუნდობლად გვეხოცა ერთმანეთი ბაზალეთთან, ომში მიუსვლელობით დაგვეღალატებინა მოხუცი მეფე და საბედისწეროდ წაგვეგო კრწანისი.

ამ შხამიანი ოპოზიციის დღევანდელი დაუნდობელი ჩალიჩი სხვა არაფერია, თუ არა კოლექტიური კახაბერ ყორღანაშვილობა, მუდმივი დაბეზღება ქვეყნისა, მისი მთავრობისა, კონკრეტული ადამიანებისა, დაბრალება, რომ მათ გადაუხვიეს ევროპულ გზას, უღალატეს ამერიკულ იდეალებს, შეეკრნენ რუსეთს, ფეხებზე დაიკიდეს თითქმის სახარებას გატოლებული თორმეტი პუნქტი...

და ითხზვება წარმოუდგენელი ოპუსები, სინამდვილესთან ცა და დედამიწასავით დაშორებული „სიყალბეები“, ბოროტი ზღაპრები.

თუნდაც სენსაციური ამბავი ავიღოთ, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი გერმანიის კანცლერმა რომ დაიბარა ტყავის გასაძრობად. სინამდვილეში რა ილაპარაკეს არ ვიცით, მაგრამ პრემიერს აშკარად იგივე ტყავი ჩამოყვა, რითაც წავიდა და, საერთოდ, გალანძღულობის და ყურების დახევის არაფერი ეტყობა.

დღეს ერთადერთი იმედი და სიხარული კვებავს ოპოზიციას, საქართველო ვერ მიიღებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს და გაწბილებულ-გაცუცურაკებული ქართველობა ამუნტდება, აგორდება, ადუღდება, აჯანყდება, **„რუსულ ოცნებას“ დაამხობს და ხელისუფლებაში მოვლენ ქვეყნის გადამრჩენი ნაცმოძრაობა და მასთან მიტმასნილი ჭყეყ ოპოზიციური პარტიები ხაბეს, ჭიჭე ვაშაძის, ლიაკა ხოშტარიას, სალომე სამადაშვილის, გირჩი ჯაფარიძის, ანა წითლიძის და სხვათა ნათელი, ძვირფასი სახეებით გასხივოსნებულნი.**

რაც მთავარია, პრემიერ-მინისტრის პოსტს სამართლიანად ჩაიბარებს ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი, მკვდრეთით აღმდგარი, სტრასბურგის შემოლაწუნებით „გამოჯანსაღებული“ მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ სამშობლოს საკეთილდღეოდ საიქიოდან მრუნდება ქართულ პოლიტიკაში!

ალეკო ასლანიშვილი

„ხალხის ძალა“ კელი დეგნანს:

შეწყვიტეთ ლიბერალ-ფაშისტური ორგანიზაციების დაფინანსება!

„ხალხის ძალა“ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ენჯოეგისა და აგრესიული პოლიტიკური დაჯგუფებების დაფინანსება კვლავაც გაუმჭვირვალეა. დაზუსტებით დღესაც არავინ იცის, ვინ, რისთვის და რა თანხით აფინანსებს „სირცხვილიას“, „ფრანკლინის კლუბს“, „გირჩს“, „დროას“ და სხვა აგრესიულ და მაპოლარიზებელ ლიბერალ-ფაშისტურ დაჯგუფებებს. შესაბამისად, საზოგადოებამ არც ის იცის, კონკრეტულად ვისგან და რა მოცულობით ფინანსდება რევოლუციური გეგმა, რომელზეც რადიკალური დაჯგუფებები დაუფარავად საუბრობენ.

რეგიონში არსებული ურთულესი ვითარებისა და უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, რთული გამოსაცნობი არაა, რას ემსახურება საქართველოში სიმშვიდის დარღვევის ყველა მცდელობა. თუმცა, დარწმუნებული ვართ, რევოლუციური გეგმის ავტორები საქართველოში ვერც რევოლუციას და ვერც მეორე ფრონტს ვერ მოაწყობენ.

ენჯოეგების დაფინანსების გაუმჭვირვალობის მიუხედავად, საზოგადოებას აქვს საერთო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვისგან არიან მხარდაჭერილი მაპოლარიზებელი და აგრესიული ლიბერალ-ფაშისტური დაჯგუფებები.

ქალბატონი კელი დეგნანი ვერასოდეს მალავდა მათ მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიებს. თუმცა, რაც მან სამი დღის წინ გააკეთა, ყველაფრის საუკეთესო ლუსტრაცია იყო. დეგნანმა ბორჯომში გაგზავნა ტრანსპორტი და შეშინებული „გირჩელები“ სამოქალაქო აქტივისტებს საელჩოს კუთვნილი მიკროავტობუსებით გამოარიდა.

გვინდა დავუსვათ კითხვა კელი დეგნანს: რატომ არ ასვენებთ ამ ქვეყანას? რატომ აფინანსებთ ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ და აგრესიულ ლიბერალ-ფაშისტურ ორგანიზაციებს? რატომ აფინანსებთ და აღვივებთ პოლარიზაციას? რატომ უქმნით ხელოვნურ ბარიერებს საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებას? რატომ არ გაგახსენდათ მედიის თავისუფლება, როდესაც ლიბერალ-ფაშისტებმა სამი ტელეკომპანია გამოარჩიეს და ღონისძიების გადაღება აუკრძალეს? და ბოლოს, გვაინტერესებს, რას ელით ხელისუფლებაში დაბრუნებული ნაცმოძრაობისგან ისეთს, რასაც „ქართული ოცნება“ არ გიკეთებთ?

ამ ყველაფერმა გაგვახსენა მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ბაკურიანის ცნობილ შეხვედრას, რომელზეც ლიბერალ-ფაშისტურ პარტიებს, ენჯოეგებს და ტელევიზიებს რევოლუციაში ატრენინგებდით, საღამოს თქვენც პირადად შეუერთდით. იქნებ, ქართულ საზოგადოებას დასდოთ პატივი და უთხრათ, რატომ ჩახვედით რევკომის შეხვედრაზე ბაკურიანში?

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საზოგადოებას უხეში ტყუილი აკადრეთ და აგენტების ამერიკული კანონი რუსულ კანონად გამოაცხადეთ, რათა რევოლუციური ფინანსების გამჭვირვალობა აგერიდებინათ თავიდან, ხალხი მაინც ხედავს ყველაფერს.

კელი დეგნანმა იმდენჯერ აარიდა პასუხი ჩვენს ლეგიტიმურ კითხვებს, რომ მისი პასუხის იმედი არც ამჯერად გვაქვს. იმედია, ახალი ელჩი მაინც გაუწევს ანგარიშს ქართული საზოგადოებისა და ჩვენი ქვეყნის ინტერესებს და შეწყდება ლიბერალ-ფაშისტური რევოლუციის დაფინანსება, რისთვისაც ის თანხები იხარჯება, რომელსაც, ცინიკურად, საქართველოს დახმარებად ნათლავენ“, – აღნიშნულია განცხადებაში.



ერის მოღალატე არაკაცებზე ამხედრებულებს არ ასამართლებენ!

საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ სრულ მხარდაჭერას უცხადებს სოსო მაისურაძეს.

მორალურ ასპექტთან ერთად მიგვაჩნია, რომ სამართლებრივადაც არამართლზომიერია მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პასუხისგებაში არ არიან მიცემული ის პირები, რომლებმაც 7-8 მარტის მოვლენების დროს პოლიციელების ცოცხლად დაწვა სცადეს, „მოლოტოვის კოქტეილები“ ესროლეს პარლამენტის შენობას, დაარბიეს თბილისის ქუჩები და გამოიწვიეს მასობრივი არეულობა. ამ დრომდე არ დასჯილან არც ამ ქაოსის ორგანიზატორები და არც შემსრულებლები. ხოლო, სოსო მაისურაძის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიების უმკაცრესი ფორმა – პატიმრობა.

მზად ვართ გავუწიოთ მას იურიდიული დახმარება, ასევე დავიწყოთ გირაოს თანხის შეგროვება და ჩვენი მოძრაობის სახელით გავაკეთოთ შენატანი 2000 ლარის ოდენობით. პარალელურად ჩვენს ფეისბუქ პლატფორმაზე (https:www.facebook.com/geofirstcom) განვათავსებთ ელექტრონული ხელმოწერების ფორმას, თავდებობასთან დაკავშირებით.

სოსო მაისურაძეს თავდებში ჩაუდგებიან ის ადამიანები ვისი სათქმელიც მან გადასცა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე დესტრუქციულ, ანტიქართველ და LGBT პროპაგანდისტ – ზურა ჯაფარიძეს.

საზოგადოებრივი მოძრაობა
„საქართველო უპირველეს ყოვლისა“

ნაცმოძრაობის ფორმულა

რა არის ოპოზიციური ძალების ერთიანობის სქემა?!

ყველა – მინუს ნაცმოძრაობა!!!

„ყველა, მინუს „ნაცმოძრაობა“ – აღნიშნულ ფორმულირებას ერთი-მეორის მიყოლებით გვთავაზობენ ოპოზიციონერები. თავდაპირველად ეს იდეა „ლელომ“ წამოაყენა, ხაზარაძე-ჯაფარიძის გუნდი ფიქრობს, რომ ამომრჩეველი ორი პოლუსის იმედად არ უნდა დარჩეს, ვისაც არც ივანიშვილის გუნდი უნდა, არც სააკაშვილის პარტია, ბიულეტენში უნდა დახვდეს ახალი ძალა.

ამავე ფორმულას გვთავაზობს ალეკო ელისაშვილიც. მისი რეკომენდაციით, იმისთვის, რომ ოპოზიციაში გადავიდეს „ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობის“ მიღმა ოპოზიციურმა ძალებმა უნდა შეძლონ კონსოლიდაცია.

სულ ბოლოს იგივე იდეა წამოაყენა პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარემ, პაატა დავითაიამ. მან აღნიშნა, რომ „ყველა, მინუს ნაცმოძრაობა“ – ეს არის ხელისუფლების შეცვლის გასაღები.

„როდესაც ვხედავთ „ნაცმოძრაობის“ განცხადებას, მოდით, დაგეხმარებითო, ეს სასაცილოა. პირდაპირ ვამბობთ, რით უნდა დაეხმაროს სხვას, თავიანთი თავი გასჭირვებიათ“, – აცხადებს პაატა დავითაია.

„ნაცმოძრაობის“ ყველა „დამჩაგვრელს“ პასუხს სცემს თაკო ჩარკვიანი. „მინუს „რუსული ოცნება“ კი არა, მინუს „ნაცები“, – აი, ეს სიბრძნე რომ მოგივა თავში, ან აზრზე არ ხარ, ან ცუდ თამაშს თამაშობ“, – მიიჩნევს ჩარკვიანი.

ოპოზიციური სპექტრი თანდათან აცნობიერებს, რომ „ნაცმოძრაობა“ მათთვის დამაბრკოლებელია, მაგრამ უკუღმა რომ დავსვათ შეკითხვა, ამ ოპოზიციას რამე შეუძლია „ნაცმოძრაობის“ გარეშე?

* * *

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ მაისაია** იზიარებს მოსაზრებას, რომ „ყველა, მინუს „ნაცმოძრაობა“ – ეს არის დღევანდელი ოპოზიციური ძალების ერთიანობის ფორმულა და ეს არის იდეალური ფორმულირება, რადგან „ნაცმოძრაობა“ რეალურად არის სისხლიანი საფრთხობელა. ამ სისხლიანმა საფრთხობელამ რაც არ უნდა გამოიცვალოს ტანსაცმელი, სისხლის სუნი მაინც ბოლომდე მიჰყვება, რადგან „კუზიანს სამარე გაასწორებს“.

რისი გაკეთება შეუძლია ამ ოპოზიციას დამოუკიდებლად, „ნაცმოძრაობის“ გარეშე, ამის შესახებ ვახტანგ მაისაია ფიქრობს, რომ მიზნის მიღწევა ოპოზიციურ სპექტრს ნაცების გარეშეც შეუძლია, ვინაიდან „ქართულ ოცნებას“ უკვე იმდენი ადამიანი განუდგა, რომ საკმაოდ სერიოზული კრიტიკული მასაა შეკრებილი. ამ ადამიანებს არც „ნაცმოძრაობა“ უნდათ, არც „ქართული ოცნება“. ამდენად, ვითარება შეიძლება ისეთივე იყოს, როგორც 2012 წელს.

„2012 წელსაც იყო კრიტიკულად განწყობილ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ ფრთხილად უყურებდნენ. ამ ადამიანებმა ზუსტად მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება, „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ ხმა, როდესაც ციხის წამების კადრები გამოვიდა სააშკარაოზე. ფაქტობრივად, წამების კადრებმა განაპირობა იმ შედეგის დადება, რამაც დაამარცხა „ნაცმოძრაობა“. ასეთი კრიტიკული მასა დღესაც არსებობს და როგორც კი შეიქმნება მოძრაობა „ყველა, მინუს „ნაცმოძრაობა“, შეიძლება 2012 წლის შედეგები განმეორდეს და „ქართული ოცნება“ ჩაბარდეს ისტორიას“, – აღნიშნა ვახტანგ მაისაია.

მანვე განმარტა, რომ ოპოზიციაში ნებისმიერი ძალა უკეთესია, ვიდრე **ვანო მერაბიშვილის** დღევანდელი „ნაცმოძრაობა“. მერაბიშვილმა ჩაიგდო „ნაცმოძრაობა“ ხელში და ასპარეზზე გამოიყვანა თავისზე უარესი, უსუსური მარიონეტი ხაგეიშვილი!, ეს ნიშნავს, რომ ვანო მერაბიშვილის აჩრდილი დასტრიალებს „ნაცმოძრაობას“. ვანო მერაბიშვილის „ნაცმოძრაობა“ კი კიდევ უფრო მეტ მხარდამჭერს დაკარგავს.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ „ყველა, მინუს „ნაცმოძრაობა“ – ანალოგიური ფორმულა ცოტა ხნით ადრე წამოაყენა „ლელომ“. ახლა, ეტყობა, პაატა დავითაია და „ლელო“ ერთმანეთს ოპოზიციური გამარჯვების ფორმულას ეცილებიან, რომელი უფრო ხმამაღლა იტყვის, ვიპოვეთ გზა, თუ როგორ დავძლიოთ „ქართული ოცნება“.

„არა მგონია, პაატა დავითაიას ეს რეკომენდაცია გამართლებული იყოს, ვინაიდან საზოგადოებაში მეკრ ადამიანს მორალური ღირებულებებიც აქვს და ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფს, ან მოძრაობას იმის მიხედვით სცემს პატივს, რამდენად არის მორალური ღირებულებები დაცული.

„ნაცმოძრაობაში“ ძალიან ხშირად მორალური ღირებულებები ირღვეოდა, ხშირად დანაშაულამდე მიდიოდა საქმე, ამიტომაა მიუღებელი ეს პარტია. მორალური ღირებულებების დამცველების თვალში ასეთი ფორმულირება – „ყველა, მინუს „ნაცმოძრაობა“ მიუღებელი იქნება, მით უმეტეს, ისეთი პოლიტიკური ფიგურებისგან, რომლებიც ერთხანს მჭიდრო ურთიერთობებში იყვნენ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ცდილობდნენ მისგან მხარდაჭერის და მფარველობის მოპოვებას, ვგულისხმობ პაატა დავითაიას“, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

მანანა ნოზაძე

რა ნატო, რის ნატო!..

რა უკრაინა, რის საქართველო!

ნატოს წევრი ქვეყნები, შესაძლოა, მზად იყვნენ ალიანსისკენ მიმავალ გზაზე უკრაინისთვის გარკვეული დაბრკოლებების შესამსუბუქებლად. აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა მხარი დაუჭირა ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის წინადადებას, რომ უკრაინას არ სჭირდება „წევრობის სამოქმედო გეგმის“ MAP-ის ეტაპობრივი პროცესის დასრულება ალიანსში გასაწევრიანებლად, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სხვა წევრებმა გაწევრიანებამდე გაიარეს.

ნატოს გენერალური მდივანი გამოდის ინიციატივით, ომის დასრულების შემდეგ, ნატოში უკრაინის გამარტივებულ შესვლასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ამერიკის პრეზიდენტის პოზიციას, მედიის ცნობით, ბაიდენი ეძებს კომპრომისულ გადაწყვეტილებას, რომელიც მოერგება როგორც უკრაინას, ასევე ალიანსის ყველა წევრს.

გერმანია, რომელიც მხარს უჭერს უკრაინის ნატოში გაწევრებას, შესაძლებელია, ნება დართოს კიევს და უარი თქვას ნატოში გაწევრების ფორმალურ პროცედურებზე, რომლებსაც აქამდე სხვა ქვეყნებისგან ითხოვდნენ. როგორც გერმანიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, არსებობს მზარდი ნიშნები, რომ ამაზე შეთანხმებას ყველა შეძლებს.

როგორც ჩანს, ნატოს მომდევნო სამიტზე საქართველოსთვის კარი არ გაიღება და ისევ ღია კარებში მოუწევს დგომა. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატომ პოლიტიკური ვალდებულება აიღო, რომ საქართველოს ალიანსის წევრი გახდება. მაშინ ნატოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა MAP არ დაუმტკიცებია, მაგრამ იყო შეთანხმება, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს საბოლოო გაწევრებისთვის მოსამზადებლად, ნატო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

2002 წლის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ** ნატოს პრაღის სამიტის წინ პირობა დადო, რომ საქართველო ნატოს კარზე დააკაკუნებდა, ამის შემდეგ საქართველო-ნატოს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. გარდა იმისა, რომ ყველა მთავრობა ავითარებდა ალიანსთან თანამშრომლობას და შესაბამისად, ალიანსიდან ისმოდა დაპირება, რომ საქართველო ყველა სტანდარტებს აკმაყოფილებს, ალიანსი მზად არ აღმოჩნდა საქართველოს გასაწევრიანებლად.

ვიცე-სპიკერ **გია ვოლსკის** განცხადებით, პატარა გამოხტომები, რომ მოდი, ნატოს წევრებისადმი განცხადება გავაკეთოთ და ამით ყურადღება მიიქციოს რომელიმე პარტიამ, არ არის ის თამაში, რომელსაც უნდა ავყვეთ. მისი თქმით, თუ ვინმე თანამშრომლობს ნატოს სტრუქტურებთან, ეს არის ის ხელისუფლება, რომელიც დღეს არის ქვეყნის სათავეში.

ვოლსკის თქმით, პოლიტიკით შეპყრობილმა ადამიანებმა, რომლებსაც სპეკულაციური მიზნები აქვთ, არ უნდა მოახდინონ გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პარტნიორებთან ურთიერთობებში. როგორც ვიცე-სპიკერი აცხადებს, ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის ხარისხი არის უმაღლესი და აჭარმებს ბევრი მათი წევრი ქვეყნის თანამშრომლობის ხარისხს, როცა ლაპარაკია საერთაშორისო ოპერაციებზე.

„ეს თემები არ არის განსახილველი იმ ხალხთან ერთად, რომელიც გამოდის და პრორუსულობის, რუსული პოლიტიკის გამარჯვების თემაზე ლაპარაკობს ყოველდღიურად ყოველად უსაფუძვლოდ, უზნეოდ და უტიფრად. ამ ხალხთან ერთად საგარეო კურსზე ლაპარაკი და იქ რაღაც პოლიტიკურ თამაშებში აყოლა არ არის სწორი სერიოზული ხელისუფლების მხრიდან“, – განაცხადა **გია ვოლსკიმ.**

იხ. 8 გვ.

სახელმწიფოებრივი ზრუნვაც ამას ჰქვია!

ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძვირადღირებულ ოპერაციებს სახელმწიფო სრულად დააფინანსებს



მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის იყო „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზეც ჯანდაცვის სამინისტრო ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძვირადღირებულ ოპერაციას სრულად დააფინანსებს.

აქამდე მოქმედი პროგრამით, **ღვიძლის ტრანსპლანტაცია დადგენილი ტარიფის ფარგლებში ფინანსდებოდა არაუმეტეს 70 000 ლარით, პაციენტის თანაგადახდის წილი კი, 50 000 ლარს შეადგენდა. მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის სერვისების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტს თანაგადახდის წილი მთლიანად მოეხსნა და ჯანდაცვის სამინისტრო მომსახურებას სრულად – 120 000 ლარით დააფინანსებს.**

ამასთან, აღსანიშნავია, რომ **ორგანო გადანერგილი პირები შშმ სტატუსის დადგენის უფლებით ვერ სარგებლობდნენ, რისთვისაც შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის იანვარში და ღვიძლის, გულის ან თირკმლის გადანერგვა მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს.**

მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი **„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის საფუძველზეც 2023 წლის 1 ივლისიდან გაიზრდება ბავშვის ბენეფისის ოდენობა 150 ლარიდან 200 ლარამდე თითოეულ 16 წლამდე ასაკის ბავშვზე. აღნიშნული ცვლილება შეეხება დაახლოებით 233 000 ბავშვს. პროგრამის ბიუჯეტი ნახევარ მილიარდ ლარამდეა.**

ზურაბ აზარაშვილი: ქორ-ვაჭართა კლინიკები უნდა დავხუროთ!

უნდა შევზღუდოთ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც შეიძლება, მაღალ რისკებს შეიცავდეს როგორც გაშვილებასთან, ისე ორგანოებით ვაჭრობასთან დაკავშირებით. არასწორი მიზნესის კეთებით ნებისმიერი ასეთი შესაძლებლობა უნდა შევზღუდოთ, ავკრძალოთ და თუ საჭიროა, ასეთი კლინიკები თუ ცენტრები უნდა დაიხუროს!

აზარაშვილმა განმარტა, რომ არასწორ მიზნესში კლინიკების ყველანაირი რეგულაციისა და კონტროლის გარეშე ფუნქციონირებას გულისხმობს.

„ნებისმიერი პროცესზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, პასუხისმგებლობა გვაქვს ჩვენ. შესაბამისად, უნდა გვქონდეს სრული კონტროლი. შეუძლებელია, ადამიანის გასხვისებას, გაყიდვას, ამ პროცესს ვადევნებდეთ თვალყურს და არანაირი მერკეტი, მექანიზმი, კანონმდებლობა არ გვქონდეს. ცვლილება, რომელიც პარლამენტში გადავაგზავნეთ, ყველა იმ საჭიროებას ითვალისწინებს, რომელიც შეიძლება, დაკავშირებული იყოს ჩვენს მოქალაქეებთან. ცვლილებები გატარებული იქნება, მათ შორის აღრიცხვასთან დაკავშირებით, უნდა შეიქმნას რეესტრები. დონორების მოპოვებიდან დაწყებული, სუროგაციის ჩათვლით, პროცესი სრულად იქნება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, რათა წლების შემდეგ ძალიან მძიმე შედეგებამდე არ მივიდეთ. ეს პროცესი ძალიან საპასუხისმგებლოა“!

ფერმერებს საძოვრები დროებით სარგებლობაში გადაეცათ

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საძოვრის კატეგორიის 66 მიწის ნაკვეთი 45 ფიზიკურ პირს დროებით სარგებლობაში გადაეცა.

ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს“ აქტიური მუშაობის შედეგად, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, გორის, ბორჯომის, დმანისის, საგარეჯოს, წყალტუბოს, ყვარლის, ასპინძის, მცხეთის, დაბა ასპინძის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში მდებარე ჯამში 6467,4 ჰა საძოვარი ფერმერებს, იჯარის უფლებით, 3 წლის ვადით გადაეცათ. საძოვრით სარგებლობის წლიურად გადასახდელი ქირა 81 665 ლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამა 2021 წელს დამტკიცდა. მისი მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საძოვრების რაციონალურად გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, საძოვრების დეგრადაციის პრევენცია, მეცხოველეობის განვითარების და ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, ასევე მეცხოველეობის სფეროში დასაქმებული ფერმერებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც შერჩეული საძოვარი და, ამავდროულად, განაცხადის წარდგენისას მას ან მის მეპაიეს მფლობელობაში აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვრის ასათვისებლად საკმარისი რაოდენობის მსხვილფეხა ან წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

საქართველოს დემოგრაფიულ საკითხთა განმხილველი საბჭო იწყებს...

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს დემოგრაფიულ საკითხთა განმხილველი საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ჩამოყალიბდება მინისტრების მოადგილეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უმოკლეს ვადაში მოამზადებს კონკრეტულ პაკეტს დემოგრაფიული ტენდენციების გაუმჯობესების მიმართულებით გასახორციელებელ ღონისძიებებზე.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე დემოგრაფიული განვითარების ძირითადი მიზნები განიხილეს. საბჭოს წევრებმა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არსებულ საუკეთესო და რელევანტურ პრაქტიკასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე იმსჯელეს. ამასთან, განიხილეს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ღონისძიებები, რეკომენდაციები და ინიციატივები. იმსჯელეს ჯანდაცვის, სოციალური სფეროს, დასაქმების ხელშეწყობის, განსახლებისა და მიგრაციის მიმართულებებით არსებულ ინიციატივებზე.

„ჩამოყალიბდება მინისტრების მოადგილეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უმოკლეს ვადაში მოამზადებს კონკრეტულ პაკეტს, რაც იქნება ყველაზე მეტად მისაღები საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, იქნება ოჯახის გაძლიერების პოლიტიკაზე ორიენტირებული და ჩამოაყალიბებს იმ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რაც შემდეგ აისახება პროგრამებში იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ სხვადასხვა მიმართულებით დემოგრაფიული ტენდენციების გაუმჯობესებას“, – განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თამარ გაბუნიამ სხდომის დასრულების შემდეგ.

გამართულ შეხვედრას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სოფიო სიჭინავა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი გოგიტა თოდრაძე ესწრებოდნენ.

ირაკლი კობახიძე: აშშ-ის ელჩი მალე შეიცვლება!

მთავარია, მომავალში აღარ განმეორდეს პოლარიზაციის მხარდაჭერა და დაფინანსება, ამაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული და არა იმ ელჩის შეფასებაზე, რომელიც ტოვებს თანამდებობას, წინ უნდა გავიხედოთ, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

კობახიძეს კითხვა დაუსვეს საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებაზე, რომლითაც აშშ-ის ელჩ კელი დეგნანს მიმართავს: **„რატომ არ ასვენებთ ამ ქვეყანას? რატომ აფინანსებთ ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ და აგრესიულ ლიბერალ-ფაშისტურ ორგანიზაციებს? რატომ აღვივებთ პოლარიზაციას?“ – რაზეც კობახიძემ აღნიშნა:**

„მე ამ თემაში არ მინდა შესვლა, მათ შორის იმის გამო, რომ ელჩი მალე შეიცვლება. აღარ მინდა საუბარი წარსულზე. ჩემთვის მთავარია, რომ მომავალში აღარ განმეორდეს პოლარიზაციის მხარდაჭერა, პოლარიზაციის დაფინანსება. ჩვენ ამაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული. არა იმ ელჩის შეფასებაზე, რომელიც ტოვებს თავის თანამდებობას, არამედ წინ უნდა გავიხედოთ და იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ მომავალში არ მოხდება პოლარიზაციის დაფინანსება, პოლარიზაციის წახალისება, შეურაცხმყოფელი განცხადებებისა და ბილწსიტყვაობის წახალისება. მე დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალში ელჩი სხვანაირად იმოქმედებს ახალი ელჩის კუთხით. ჩვენ ეს იმედი უნდა გვქონდეს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ზეპირ მოსმენებზე ალბათ გახმაურდება ობიექტური შეფასებები!

ჩვენ გვაქვს იმედი, რომ თითოეულ ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯს ექნება ობიექტური შეფასება, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„დაველოდოთ ზეპირ მოსმენას. იმედია, გაუღერდება ობიექტური შეფასებები თითოეული იმ ნაბიჯის მიმართ, რომელიც გადაიდგა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის მიმართულებით, მათ შორის 12 პუნქტის შესრულების ნაწილში“, – განაცხადა კობახიძემ. საქართველოსთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში ევროკომისიაში განხილვა და ზეპირი მოსმენა გაიმართება.

კახა კალაძე: თავი არ უნდა დავხაროთ, თვალებში ნაცარი არ უნდა შეაყრევინო არავის!

თუნდაც ჩვენს მეგობრებს როდესაც აქვთ მცდელობა, თვალებში ნაცარი შეგვაყარონ, ჩვენ თავი არ უნდა დავხაროთ, ნაცარი არ უნდა შეაყრევინო არავის თვალებში, – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

კალაძეს კითხვა დაუსვეს – **შეუშლის თუ არა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღებას ხელს, ბოლო დროს „ქართული ოცნების“ მხრიდან გახშირებული ძალადობა და ანტიდასავლური განწყობები?**

აღნიშნულის პასუხად თბილისის მერმა ჟურნალისტს მიმართა.

„თქვენ ვერ მომიყვანთ ვერც ერთ ანტიდასავლურ განცხადებას. ვერ მომიყვანთ, რა ძალადობის ფაქტებზე საუბრობთ საერთოდ და რომელ ძალადობის ფაქტს ახალისებს „ქართული ოცნება“. ზოგადად, ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია. მე ამასთან დაკავშირებით გუშინაც ვისაუბრე. ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ეს, რაც არ უნდა განსხვავებული აზრის მოსმენა გვიწევდეს, ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და პასუხად ძალადობა არ უნდა ხდებოდეს. არ უნდა ხდებოდეს ძალადობის წახალისება. გუშინ მაგალითი მოვიყვანე, როდესაც პოლიციელს, მაგალითად, „მოლოტოვის კოქტეილს“ ესვრი, გაქვს მცდელობა, ცოცხლად დაწვა და ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები გამოდიან და აქვთ მცდელობა, რომ გმირად შერაცხონ ეს ადამიანი, ეს ძალიან დამაზიანებელია და ძალიან ცუდია. ძალადობას ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ.

როდესაც აქვთ მცდელობა თუნდაც ჩვენს მეგობრებს, თვალებში ნაცარი შეგვაყარონ, ჩვენ თავი არ უნდა დავხაროთ, ნაცარი არ უნდა შეაყრევინო არავის თვალებში. როდესაც გეუბნებიან თეთრზე, შავიაო, არ უნდა მისცე ამის საშუალება და ამის უფლება, ვინც არ უნდა იყოს, არ აქვს მნიშვნელობა. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენს მეგობრებზე, ჩვენს პარტნიორებზე, რა თქმა უნდა, სიმართლე უნდა ვუთხრათ მათაც“, – განაცხადა კალაძემ.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსის საუკეთესო ათეული

განათლების კოალიციის ინიციატივით მიმდინარე „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსის ფარგლებში საუკეთესო ათეული გამოვლინდა, რომელთაგან ერთ-ერთი 5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება.

გარდა ამისა, მას, ფულადი პრიზის სახით, კამპანიის გენერალური სპონსორისგან – „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდისგან 15 000 ლარი გადაეცემა. საუკეთესო ათეულის დანარჩენ წევრებს ლიბერთი ბანკი დააჯილდოებს.

2023 წლის საუკეთესო ათეულის წევრები არიან:

ქამრან აფანდიევი – მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლაოღლის და წოფის საჯარო სკოლების ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელი;

ნანა გოგატიშვილი – თბილისის გოგიტა კიკნაძის სახელობის №182 საჯარო სკოლის „მე და საზოგადოების“, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

ინა იმედაშვილი – თბილისის UG სკოლის დაწყებითი საფეხურის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

მარინე კვარაცხელია – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

მანუშაკ მკრტჩიანი – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ როდიონოვკის საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელი;

ნინო ნიპარიშვილი – კასპის მუნიციპალიტეტის შპს „ბესიკ ნიპარიშვილი“ მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის „მე და საზოგადოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების“ მასწავლებელი;

ნინო ფსუტური – გორის №8 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

თამარ ცანავა – თბილისის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის №178 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი;

ლელა წურწუმია – გორის №12 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების, მოქალაქეობის და ისტორიის მასწავლებელი;

ნესტან ხორხომელიძე – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოს საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო განათლების კოალიციის, განათლების და მეცნიერების სამინისტროს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. აღნიშნული ინიციატივა საქართველოში უკვე მეშვიდედ ხორციელდება და ის მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის – „The Global Teacher Prize“ ნაწილია.

კონკურსის გენერალური სპონსორია „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდი, ოქროს სპონსორები არიან ლიბერთი ბანკი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპონსორები არიან: EPAM Georgia, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (სეს) და ალტე უნივერსიტეტი, ხოლო ჯილდოს მხარდამჭერები არიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, პირველი არხი-ტელესკოლა და ციფრული-კრეატიული სააგენტო „მავერიკი“.

2023 წლის გამოცდების საორგანიზაციო ჯგუფის საქმიანი სხდომა

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილის გელა გელაძის ხელმძღვანელობით 2023 წლის გამოცდების საორგანიზაციო ჯგუფის სხდომა გაიმართა, სადაც ჯგუფის წევრებმა გამოცდების მზადებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად განიხილეს.

შეხვედრის ფარგლებში ჯგუფმა საჭიროებების გათვალისწინებით იმ სამოქმედო გეგმასა და კონკრეტულ ამოცანებზე იმსჯელა, რომლებიც უნდა შეასრულოს გამოცდების ლოგისტიკურ ნაწილში ჩართულმა თითოეულმა უწყებამ. საუბარი შეეხო საგამოცდო ცენტრების დენის უწყვეტი მომარაგების, სასწრაფო და სახანძრო დახმარების უზრუნველყოფის, გზების მოწესრიგების, ტრანსპორტირებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის, საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის, ასევე მასწავლებლის საგნის გამოცდისა და უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდისათვის ჯამში 75 ათასზე მეტი მსურველია დარეგისტრირებული. 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები 3 ივლისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება, საგნისა და უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე დარეგისტრირებულნი კი საგამოცდო პროცესში 6 ივლისიდან ჩაერთვებიან. 12 ივლისს ჩატარდება სტუდენტთა საგრანტო კონკურსი, ხოლო მაგისტრანტობის კანდიდატები საერთო სამაგისტრო გამოცდას 27-28 ივლისს ჩააბარებენ.

ღია კარის დღე სენაკის სამხედრო ბაზაზე

პროექტის „ერთი დღე ჯარში“ ფარგლებში სენაკში, საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთ სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის სამხედრო ბაზაზე ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის ღია კარის დღე გაიმართა

მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურის მოადგილემ, ვიცე-პოლკოვნიკმა დავით ბოლქვაძემ სტუმრებს დეტალურად გააცნო სამხედრო სამსახურის პირობები და ჯარისკაცების ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმი. მოსწავლეებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. ღონისძიების ფარგლებში სტუმრები ბრიგადის ისტორიას გაეცნენ, დაათვალიერეს სამხედრო ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურა, სამხედროების საცხოვრებელი პირობები, სპორტული კომპლექსი, ბრიგადის აღჭურვილობა და ტექნიკა.

სტუმრებს გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტებმა პრეზენტაცია წარუდგინეს, სადაც ლიცეუმში რეგისტრაციისა და სწავლების პროცესის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა ჯარისკაცის ულუფა დააგემოვნეს.

პროექტის „ერთი დღე ჯარში“ მიზანს თავდაცვის ძალების შესახებ ახალგაზრდა თაობის ინფორმირებულობის გაზრდა და ქართული ჯარის პოპულარიზაცია წარმოადგენს.

„ცოცხლდება ჩვენს წინ მკრთალი სახე ფერების მგოსნის“!

ნიკოლას პედის ჯეიდეჯეი

სახლი, რომელშიც ფიროსმანი გაიზარდა. ძმები ზდანევიჩების ქუჩა №3

ღია წერილი თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს

ვარ ისტორიკოსი, ფიროსმანის შესახებ რამდენიმე ნაშრომის ავტორი. 10 მაისს ჩატარდა ჩემი ახალი წიგნის „ფიროსმანის დაგადეგის და გარდაცვალეგის მისტერია“ პრეზენტაცია, რომელიც ფართოდ გაშუქდა ჩვენს მასმედიაში.

ამჟამად, მივაკვლიე სახლს, რომელშიც ფიროსმანი გაიზარდა. როგორც ცნობილია, დაობლებული ნიკო ფიროსმანაშვილი შულავერში ქალანთაროვებს დარჩათ საპატრონოდ. ამ ოჯახის ქალიშვილმა, ანა ქალანთაროვა-ბეგ-ოსიპოვამ გავშვი თბილისში წამოიყვანა და თავის სახლში აღზარდა. 1928 წელს მან განცხადებით მიმართა მხატვართა საზოგადოებას. ითხოვდა შუამდგომლობას სოცუზრუნველყოფის კომიტეტის წინაშე, რათა დანიშვნოდა პენსია. ანა ბეგ-ოსიპოვა წერდა: „ჩემი დახმარება ნიშნავს დაფასებას დიდ მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილისა, რომელიც მე აღვზარდე 4-20 წლამდე“ (უახლესი ისტ. არქივი, ფონდი 293, ან. 1, საქმე 431, ფ. 4). მხატვართა საზოგადოების გამგეობამ დახმარება აღმოუჩინა მთხოვნელს. გამგეობამ აგრეთვე იშუამდგომლა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რათა ბეგ-ოსიპოვას მისცემოდა უფასოდ ცხოვრების ნება იმ ბინაში, „სადაც ის ზრდიდა ცნობილ ქართველ მხატვარს ნიკო ფიროსმანაშვილს 4-20 წლამდე“ (უახლესი ისტ. არქივი, ფონდი 293, ან. 1, საქმე 431, ფ. 2).

ანა ბეგ-ოსიპოვას განცხადებაში აღნიშნულია სახლის მისამართი: მეიდნის შესახვევი №3. თბილისის 1924 წლის რუკის დახმარებით ვიპოვე ეს ქუჩა და შესაბამისად, სახლი: ძმები ზდანევიჩების ქუჩა №3, რომლის პირველი სართული „მაჭახელას“ უჭირავს.



ანა ბეგ-ოსიპოვას განცხადება (უახლესი ისტ. არქივი, ფონდი 293, ან. 1, საქმე 431, ფ. 4.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და გასცეთ ამ სახლზე მემორიალური დაფის გაკეთების განკარგულება.

პატივისცემით

მანანა ხომერიკი,

ისტორიის დოქტორი, „იმერეთის მეფეთა შთამომავლების საზოგადოების“ ნამდვილი წევრი, კუნძულ ქიოსისა და კუნძულ ოინუსის (საბერძნეთი) საპატიო მოქალაქე.

ბოლნისის ფესტივალის სარბიელზეა ქართული ღვინო



„შალოს მარანი“, „ბოლნისის ძველი მარანი“, „ჯაფარიძე ვაინერი“, „ბიჭვების მარანი“, გურამიშვილის მარანი“, „ძმების მარანი“, „ლუკას მარანი“ და სულ 60 შინაარსის შემცველ საფირმო სახელს შეხვდებოდით 17 ივნისს ბილნისში გამართულ ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალზე.

ბევრი საფირმო სახელი საინტერესო ისტორიაზეც მიგვითითებდა. მაგალითად, „მუხიგული 1770“, როგორც მეღვინე იოსებ მუხიგულმა აგვიხსნა, 1770 მუხიგულაშვილების გვარის წარმოშობის თარიღთანაა დაკავშირებული, ხოლო „კარდანახი 1888“, თურმე, ამ ღვინის ბოთლში ჩამოსხმის დაწყების თარიღზე მიანიშნებს.

– ჩვენ, 30-მდე დასახელების ღვინოს ვაწარმოებთ, მაგრამ, დღეს, აქ მხოლოდ 3 დასახელების ღვინის ნიმუშით ვართ წარმოდგენილი – „კარდანახით“, „წარაფითა“ და „ახოებით“. ეს ღვინოები უშუალოდ ვენახების მიკროზონების მიხედვით შეირჩევა და განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდებიან, – გვიხსნის ახალგაზრდა მეღვინე ავთო ირომაშვილი.

ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალი, რომლის ორგანიზატორებადაც „ღვინის ეროვნული სააგენტო“, „საქპატენტი“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბოლნისის მერია და კომპანია „არემჯი“ გამოვიდნენ, საინტერესო პროგრამით წარიმართა და საზოგადოებისთვის შთამბეჭდავ ღონისძიებად იქცა.

ქალაქ ბოლნისის მცხოვრებლებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ სტუმრებსა და უცხოელ ტურისტთა ჯგუფებს მისასალმებელი სიტყვით შეხვდნენ ბოლნისის მერი დავით შერაზადიშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი ჩოფურიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი იური ნოზაძე, სხვადასხვა უწყებათა პასუხისმგებელი პირები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფესტივალის მიმდინარეობას მონიტორინგს უწევდა კომპანია „არემჯის“ გენერალური დირექტორი ბატონი ჯონი შუბითიძე.

ბოლნისის ღვინის ფესტივალის მრავალფეროვან ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ძველი, გერმანული სარდაფის ბაზაზე ახლადაღდგენილი შენობის „ქართულ-გერმანული ღვინის სახლად“ გამოცხადების ცერემონიალმა.

ღვინის ფესტივალის დასკვნით ეტაპზე გამოვლინდნენ საუკეთესო მეღვინე-მწარმოებლები და მათი ღვინის საუკეთესო ნიმუშები. ფესტივალის ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი გულუხვნი და ყურადღებიანნი აღმოჩდნენ ღვინის თითოეული მწარმოებლის მიმართ – არაერთი ყურძნის ჯიშზე დამზადებული არაერთი ჩამოსხმა აღიარეს საუკეთესოდ და ისინი ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოეს. ფესტივალი განსაკუთრებით „შემოსავლიანი“ გამოდგა „ქობულაძის მარანისათვის“. მისი ღვინის ოთხმა ნიმუშმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა. ბოლნისის ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალი გვიანღამით, მრავალმხრივ საინტერესო კონცერტით დასრულდა.

რაინდი ასლამაზაშვილი.

ჩვენი საკ.კორ.

კახეთში მასშტაბური პროექტები ხორციელდება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, **გომბორის გზის 33 კმ-იან მონაკვეთზე ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ტარდება მეწყერ-საწინააღმდეგო ღონისძიებებიც.**

გათვალისწინებულია მოცულობითი სამუშაოები, მათ შორის, 6 ხიდის რეაბილიტაცია, ახალი წყალგამტარი მილებისა და რკინაბეტონის ქვედა და ზედა საყრდენი კედლის მოწყობა.

„ამჟამად, მთლიანობაში, კახეთის რეგიონში საგზაო ინფრასტრუქტურის მილიარდ 100 მილიონი ლარის პროექტები მიმდინარეობს. აღსანიშნავია, მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი და ასევე, სარეაბილიტაციო პროექტები, რომლის ფარგლებშიც 165 კმ გზის რეაბილიტაცია მხოლოდ კახეთის რეგიონში მიმდინარეობს,“ – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ კახეთის რეგიონში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

გომბორის გზა მოძრაობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა. ამ გზით სარგებლობენ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ქვეყანაში შემოსული ტურისტები. გზის დაბიანებული, დამეწყრილი და დეფორმირებული ადგილები მოძრაობის უსაფრთხოებასა და კომფორტულ გადაადგილებას ვეღარ უზრუნველყოფდა, რის გამოც დაიგეგმა გზის რეაბილიტაციის პროექტი.

პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის სრული რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, 6 ხიდის რეაბილიტაცია, ახალი წყალგამტარი მილებისა და რკინაბეტონის ქვედა და ზედა საყრდენი კედლის მოწყობა. ასევე, გატარდება მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებები, შეკეთდება ტროტუარი, მიერთებები და ადგილობრივი შესასვლელები, მოეწყობა მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედანი და ავტო პავილიონი, ჩატარდება საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები“, – აღნიშნულია უწყების პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 66 700 000 ლარით ფინანსდება. სამუშაოების დასრულება 2024 წლის შემოდგომაზე იგეგმება.**

ამ დროისთვის, კახეთში, ჯამში, 25 პროექტი მიმდინარეობს, საიდანაც 4 ჩქაროსნული გზის მშენებლობის პროექტია. რეაბილიტაცია უტარდება თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის 30 კმ-იან და 11.5 კმ-იან მონაკვეთებს და ფშაველი-აბანო-ომალოს 72 კმ-იანი გზის საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების პირობების პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს პირველი, 13.5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

რუსული ფულის სუნმა ამერიკიდანაც გამოჟონა!

მოპოვებული დოკუმენტები მიუთითებს, რომ სანქცირებული რუსული სამხედრო მრეწველობის კომპანიებმა ამერიკული კომპანია HORNADY-სგან ასობით ათასი ტყვია-წამალი შეიძინა

გამოცემა Politico-ს მიერ მოპოვებული დოკუმენტები მიუთითებს იმაზე, რომ სანქცირებული რუსული სამხედრო მრეწველობის კომპანიებმა „Промтехнология“, „ORSIS T-5000“ და „ТЕТИС ПРО“ ამერიკული კომპანია Hornday-სგან ასობით ათასი ტყვია-წამალი შეიძინეს.

Politico-ს თანახმად, დასავლური ტყვია-წამლის გამოყენებაზე „ვაგნერის“ მებრძოლები ინტერვიუებშიც საუბრობენ. თუმცა, როგორც დაჯგუფების ხელმძღვანელმა, ევგენი პრიგოჟინმა Politico-ს განუცხადა, მათ **„ნატოს შეიარაღების უზარმაზარი რაოდენობა აქვთ, რომელიც უკრაინის ჯარმა დატოვა“.**

რუსეთთან ვაჭრობის გაგრძელებას კატეგორიულად უარყოფს **Hornday**-ს დირექტორიც. Politico-სთან სატელეფონო ინტერვიუში მან განაცხადა, რომ კომპანიამ რუსეთთან ურთიერთობა უკრაინაში შეჭრის დღესვე გაწყვიტა.

„კატეგორიულად ვაცხადებ, რომ რუსეთში ექსპორტს არ ვახორციელებთ და რუსეთში ექსპორტის ნებართვა 2014 წლიდან არ გვქონია. მხარს არ ვუჭერთ ნებისმიერი ჩვენი პროდუქტის ნებისმიერ რუსზე მიყიდვას და როგორც კი გავარკვევთ, როგორ ჩაუვარდათ მათ ხელში ჩვენი პროდუქტი (თუ ეს მართლა ასეა), მივიღებთ ყველა შესაძლო ზომას ამის შესაჩერებლად“, – აცხადებენ Hornady-ში.

Hornady-სთან ურთიერთობას „Промтехнология“-შიც უარყოფენ, თუმცა ზოლიტიცო წერს, რომ „აღმოჩენები ემატება მზარდ მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ ლეტალური და არალეტალური სამხედრო აღჭურვილობის მარაგი კვლავ აღწევს რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთმა უპრეცედენტო სანქციები დააწესა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გასულ წელს უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ. თავდაცვის ექსპერტების შეფასებით, ომმა გამოავლინა, რომ რუსეთს სნაიპერული აღჭურვილობის წარმოება არ შეუძლია, რაც ხელს უწყობს დასავლური საბრძოლო მასალის შავი ბაზრის აყვავებას.

„ინფორმაცია ასეთი ტყვია-წამლის შესყიდვის შესახებ ჩვენს თვალწინაა: გარიგების დეტალების – იმპორტიორების, მომწოდებლებისა და პროდუქტის აღწერილობის ნახვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ვისაც აქვს წვდომა რუსულ ინტერნეტზე და ფლობს საერთაშორისო საბაჟო კლასიფიკაციის კოდებს“, – აღნიშნულია სტატიაში.

Politico წერს, რომ სანქციების დარღვევისთვის აშშ-ში მკაცრი სასჯელი მოქმედებს, რომელიც $1 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმას ან 20-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

რუსული რაკეტების ელექტრონული კომპონენტები დასავლეთსა და ამერიკაშია დამზადებული

ტექნიკის მწარმოებელი დასავლური კომპანიები რუსეთს უკრაინული ქალაქების დაბომბვაში ეხმარებიან, – ამ სათაურით ვრცელ სტატიას, უკრაინული გამოცემა „ლიგა ნეტი“ ავრცელებს.

ანტირუსული სანქციების აღსრულებაზე მომუშავე ერმაკ-მაკფოლის ჯგუფის ახალი ანგარიშის მიხედვით, რაკეტების ელექტრონული კომპონენტების 81 პროცენტი შეერთებულ შტატებშია დამზადებული.

„რუსული რაკეტების შემადგენლობაში შვეიცარიაში, გერმანიასა და იაპონიაში წარმოებული ელემენტებიც შედის. ამერიკული მიკროსქემები და ჩიპები ნაპოვნი იყო ცოტა ხნის წინ კრივოი როგსა და ოდესაში განადგურებულ ფრთოსან რაკეტებშიც. უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მონაცემებით, რაკეტა, რომელიც კრივოი როგში საცხოვრებელ სახლს მოხვდა, 2023 წლის აპრილში იყო გამოშვებული და ის დასავლეთში წარმოებულ 50-ზე მეტ კომპონენტს შეიცავდა“, – წერს გამოცემა.

უკრაინაში ოსური ბატალიონის მეთაურის მოადგილე დაიღუპა

უკრაინაში ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის მორიგი მკვიდრი, ოსურ ბატალიონ „შტორმ ოსეტიას“ მეთაურის მოადგილე, 31 წლის აივენგო ტეხოვი დაიღუპა. ტელეგრამ-არხებში გავრცელებული ეს ინფორმაცია ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო შს სამინისტროში გუშინ დაადასტურეს.

ტელეგრამ-არხების ინფორმაციით, ტეხოვი და მისი ქვედანაყოფი ალყაში მოექცნენ ზაპოროჟიეს ოლქის დაბა პიატიხატკას მიდამოებში, რომელიც უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ ამ ოლქში ოკუპანტებისგან გათავისუფლებულ პირველ საცხოვრებელ პუნქტად იქცა. ამასთან, როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, გამართული ბრძოლების შედეგად „პრაქტიკულად მთელი ბატალიონი ამოწყდა“.

ცნობისთვის: უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ზაპოროჟიეს ოლქის სამხრეთში დაბა პიატიხატკა რუსი ოკუპანტებისგან გაათავისუფლეს. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა მალიარმა განაცხადა და იქვე დასძინა, რომ კონტრშეტევის დაწყების დროიდან ეს უკრაინის შეიარაღებული ძალების პირველი გამარჯვებაა ფრონტის აღნიშნულ მონაკვეთზე.

18 ივნისს უკრაინელების მიერ პიატიხატკის დაბრუნების შესახებ ოლქის რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვლადიმირ როგოვმა განაცხადა. იგივე ინფორმაციას ავრცელებდნენ კრემლის სამხედრო ბლოგერებიც. თუმცა რუსეთის თავდაცვის სამინისტრო იმავე დღეს ირწმუნებოდა, რომ რუსმა სამხედროებმა „დაბაზე უკრაინელთა შეტევის მოგერიება შეძლეს“.

უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ბერდიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებით უკრაინელმა დამცველებმა 8 დასახლება გაათავისუფლეს.

„ბერდიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებით ორკვირიანი ოპერაციების განმავლობაში უკრაინამ შემდეგი 8 დასახლება გაათავისუფლა: ნოვოდარივკა, ლევადნე, სტოროჟევა, მაკარივკა, ბლაგოდატნე, ლობკოვო, ნესკუჩნე და პიატიხატკი. ტავრიის მიმართულებით უკრაინა მტრის სიღრმეში 7 კმ-მდე წაიწია. სამხრეთით გათავისუფლებული ტერიტორია 113 კვადრატული კილომეტრია. ტაურის მიმართულების თავდაცვის ძალების აქტიური მუშაობა გრძელდება“, – აცხადებს მალიარი.

როგორც იგი აღნიშნავს, გასულ კვირას ოკუპანტებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. კერძოდ, ყველა მიმართულებით 4 600-ზე მეტი რუსი სამხედრო ან დაიღუპა ან დაიჭრა, 80-ზე მეტი რუსი სამხედრო კი უკრაინამ ტყვედ აიყვანა.

რა ნატო, რის ნატო!.. რა უკრაინა, რის საქართველო!

(მეოთხე გვერდიდან)

პოლიტოლოგი, საერთაშორისო მკვლევარი **თამარ კიკნაძე** ამბობს, რომ არსებობს ნატოს გენერალური მდივნის განცხადება, სადაც ამბობს, რომ უკრაინის ნატოში გასაწევრებლად საჭიროა უკრაინის ომში მოგება. მისი თქმით, თუ უკრაინას მიიღებენ ნატოში, აღმოჩნდება ორი ბლოკი, რომელშიც შედიან ატომური ქვეყნები და რუსეთი აღმოჩნდება საომარ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, კიკნაძე დარწმუნებულია, რომ ასეთ გადაწყვეტილებაზე და რადიკალიზაციაზე ნატო არ წავა.

„რაც შეეხება საქართველოს, ბევრნაირად სცადეს, რომ საქართველო რაღაცნაირად აღმოჩენილიყო გამძაფრებულ ვითარებაში. დღეს, საქართველოზე რომ არაფერს არ აცხადებენ, ეს ძალიან კარგია. საერთოდ, ნატოში და ევროკავშირში მიღების მექანიზმი არის ძალიან რთული და მიიღება კონსენსუსის გზით. ყველა წევრი უნდა დათანხმდეს, რომ მიიღონ როგორც უკრაინა, ასევე საქართველო. ნატოში არ არის ერთსულოვნება ამასთან დაკავშირებით. ამიტომ, ნაკლებ სავარაუდოა უკრაინის გაწევრება, ან შემამსუბუქებელი გადაწყვეტილების მიღება. საქართველოსთან დაკავშირებით თუ არ იქნება განცხადება გაკეთებული მიღებასთან დაკავშირებით, იქნება ძალიან კარგი. მათ რომ გააკეთონ განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს მიიღებენ ნატოში, ეს იქნება კაზუს-ბელი საქართველოსთვის“, – აღნიშნა **თამარ კიკნაძემ.**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, **დავით კუხალაშვილი** აცხადებს, რომ ზოგადად, „შემსუბუქება“, „კანდიდატი“, „ასპირანტი“, „მაპი“ – არის მოგონილი ტერმინები, რომელიც ხელს უწყობს ცრუ მოლოდინების შექმნას. თუ გავიაზრებთ საქართველოსთან მიმართებაში განვითარებულ მოვლენებს, პრაქტიკულად, თითქმის 25 წელია საქართველო იმყოფება ცრუ მოლოდინების რეჟიმში.

„არც ადგილობრივი პოლიტიკური სპექტრი და არც ნატო, თუ ევროკავშირი რეალურ მოლოდინებს ვერ ქმნიან. ყველაფერი, რაც ჩანს, არის ცრუ მოლოდინი. აქედან გამომდინარე, სიტყვების რახა-რუხით უკრაინის და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მდგრადობა ვერანაირად ვერ იქნება განპირობებული. ყველაფერი დამოკიდებული იქნება ხელისუფლების მოქნილ პოლიტიკაზე – რა პოლიტიკას განახორციელებს საქართველოს ხელისუფლება, რომ საქართველო არ ჩაყლაპოს რომელიმე ერთი სახელმწიფომ!

რაც შეეხება უკრაინას, რომელიც პრაქტიკულად, განადგურებულია, გამოყოფილი დახმარებები არასაკმარისი და არასანდოა, რომელიც უზრუნველყოფდა საომარი მოქმედებების შეჩერებას და ასეთი დამაზიანებელი შედეგის მიღებას.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც უშუალოდ ნატოს ორგანიზაცია და ვერც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი სახელმწიფოები ვერ დგამენ გაბედულ და მასშტაბურ ნაბიჯებს, რომელიც შევიდოდა უკრაინის ეროვნულ ინტერესებში, რომელიც, გარკვეულწილად, შეცვლიდა ბალანსს ამ საომარი მოქმედებების დროს. ამიტომ, მე მგონია, რომ ძირითადად, ნატო და ევროკავშირი გადასული არიან მოლოდინების შექმნის რეჟიმზე“, – თქვა **დავით კუხალაშვილმა.**

თამთა ქარჩავა

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად (განცხადებების წარმოდგენის ვადის გაგრძელება)

საქართველო
აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი
სესხის/კრედიტის **No. IBRD 8547-GE**
პროექტის **No: P149952**
დავალების დასახელება: საავტომობილო გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის კონტროლის ცენტრის პროექტის მომზადება
კონტრაქტის ნომერი: **EWHCIP/CS/CQS-04**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **საავტომობილო გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის კონტროლის ცენტრის პროექტის მომზადება** (RDNHCC).

კონსულტანტი მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან (RDMRDI) ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისთვის, მათი როლებისა და ინსტიტუციური მოწყობის/განლაგების შესაფასებლად და საკომუნიკაციო ხაზების დასაარსებლად. დაინტერესებული მხარეების დისკუსიებისა და ინფორმაციის საფუძველზე, კონსულტანტმა უნდა შესთავაზოს კონცეფცია ღ ჩჩ-სთვის, ქვეყნის სპეციფიკურ წინაპირობების და რეგულაციების გათვალისწინებით.

ტექნიკური დავალება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://www.dropbox.com/s/fjqkq3twpw1hc8y/ITS_RDNTCC_ToR-WB%20as%20issued.docx?dl=0

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მათ აქვთ საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება მომსახურების შესასრულებლად.

„მოკლე სიის“ კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება: გამოცდილება ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების (ITS) დანერგვასთან დაკავშირებულ პროექტებში.
- მსგავსი გამოცდილება: მინიმუმ ორი ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის (ITS) პროექტი სატრანსპორტო სექტორში, მათ შორის მინიმუმ ერთი დასრულებული გზების პროექტი სასურველია ბოლო 10 წლის განმავლობაში.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოიყენოს ის შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ქვემოთ მოცემული ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ (გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე). ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს.დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა და ეს არ ჩაითვლება ლიმიტის დარღვევად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე (CQS) შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

საკონსულტაციო მომსახურების ხანგრძლივობა შეადგენს 8 თვეს. დამაკმაყოფილებელი შესრულების პირობით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტაზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2023 წლის 6 ივლისის 15:00 საათისა.

საკონტაქტო პირი: სალომე წურწუმია
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST (Extension of the Deadline for Submission of Expressions of Interest)

Georgia
East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)
Loan No. IBRD 8547-GE
Project No. P149952
Assignment Title: ESTABLISHEMENT OF ROADS DEPARTMENT NATIONAL HIGHWAY CONTROL CENTER (RDNHCC)
Reference No: EWHCIP/CS/CQS-04

The Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of **the East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**, and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible consulting firms ("Consultants") to indicate their interest in providing the Services: **ESTABLISHEMENT OF ROADS DEPARTMENT NATIONAL HIGHWAY CONTROL CENTER (RDNHCC)**

The Consultant will closely cooperate with the Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure (RDMRDI) to identify key stakeholders, assess their roles and institutional arrangements and establish communication lines. Based on the discussions and inputs from the stakeholders, the consultant shall propose a concept for the RDNHCC considering country specific preconditions and regulations.

The Terms of Reference for these services is available on the following link: https://www.dropbox.com/s/fjqkq3twpw1hc8y/ITS_RDNTCC_ToR-WB%20as%20issued.docx?dl=0

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

Shortlisting Criteria are:

- General Experience: Experience in projects related to the implementation of Intelligent Transport Systems (ITS).
- Specific Experience: A minimum of two ITS projects within the transport sector with at least one project specific to roads, successfully completed preferably over the last 10 years.

Note: The Road Department reserves its right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Key Experts will not be evaluated at the shortlisting stage.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers January 2011 – Revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. Also, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the consultant's services under the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association **(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)** to enhance their qualifications. In the case of a joint venture, all the partners in the joint venture shall be jointly and severally liable for the entire contract, if selected. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company.

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Selection Based on Consultant's Qualification (CQS) method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Estimated duration of assignment is 8 months with a possibility of downstream extension, subject to satisfactory performance.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than July 6, 2023, 15:00 hours.

Name: Ms. Salome Tsurtsumia
Position: Deputy Chairperson of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2014 წლის 5 მარტს გარდაცვლილი მოქალაქე როზალია რაიხმანი (დაბადებული 1929 წლის 16 05. პ/ნ:61007002408. გარდაცვალების მოწმობა №77237000588) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმი,მახინჯაურის დასახლება ახალგაზრდობის ქუჩა №18 ბინა №13-ის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

განცხადება №2

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2021 წლის 27 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე სულიკო გვიანიძე (დაბადებული 1950 წლის 19. 10. პ/ნ:61006001559. გარდაცვალების მოწმობა №77237000606) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა №24-ში ბინა №13-ის (ს/კ: 05.35.27.044.01.013.) 1/5 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

დღეს, 20 საათზე, საქართველო - პორტუგალიის მატჩით დინამო არენაზე საზეიმოდ გაიხსნება 21-წლამდელთა 21-ე ევროპის ჩემპიონატი.

კუნძული აღებულია!

როგორც მოგეხსენებათ, დამდეგ ფორუმს დამატებითი, ერთობ მსუყე დატვირთვაც აქვს – გათამაშდება პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის სამი საგზური, მისი დაუფლების შემთხვევაში კი ჯვაროსნები ნავსს გატეხავენ და სპორტის სათამაშო სახეობების წარმომადგენელთაგან პირველნი მოიპოვებენ საფრანგეთში გუნდურად გამოსვლის უფლებას.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საბოლოო შემადგენლობა

მეკარეები: მამარდაშვილი, კუტალაძე, ყალიჩავა.

მცველები: კაპანაძე, გოჩოლეიშვილი, გელაშვილი, კალანდაძე, ჯინჯოლავა, ხვადაგიანი, აზაროვი, საზონოვი.

ნახევარმცველები და თავდამსხმელები: მამაგეიშვილი, წიტაიშვილი, ხორხელი, სიგუა, ნ. გაგნიძე, მოისწრაფიშვილი, მექვაბიშვილი, ლ. გაგნიძე, დავითაშვილი, ლომინაძე, გულიაშვილი, გაგუა.

მთავარი მწვრთნელი – რამაზ სვანაძე.

ევროპის ჩემპიონატის სტადიონები: თბილისი – დინამო არენა (54 000 ადგილი), მიხეილ მესხი არენა (24 600 ადგილი), ბათუმი – აჭარაბეთ არენა (20 000 ადგილი), ქუთაისი – რამაზ შენგელია არენა (12 000 ადგილი).

ჩემპიონთა გალერეა: ესპანეთი – 5, იტალია – 5, გერმანია – 3, ინგლისი – 2, სსრკ – 2, ნიდერლანდები – 2, სერბეთი – 1.

* * *

როცა ამ წერილს კითხულობთ, უკვე ცნობილია შოტლანდიაში წუხელ გამართული უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩის პერიპეტიები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ შაბათის რაუნდის შედეგებმა არსებითად განსაზღვრა გუშინდელ მეტოქეთა სატურნირო სტრატეგია.

უპირველესად, მასპინძელთა ზედიზედ მესამე გამარჯვებაზე უნდა შევჩერდეთ, რომლებმაც, წინა ტურის მსგავსად, ნორვეგიაშიც ბოლო წუთებზე გატეხეს ვიკინგები – 2:1 და **ვილი სანიოლის** გუნდი გამარჯვების აუცილებლობის წინაშე დააყენეს.

ეს სათქმელადაა ადვილი – ჯგუფის აუტსაიდერი დავამარცხოთო, თორემ ვინც **თემურ ქეცბაიას** საფეხბურთო ფილოსოფიას სცემთ პატივს, დაგვეთანხმებით, რომ როგორი თავგანწირული და ჯიგრიანი თამაშითაც გამორჩეოდა აქტიური სპორტსმენობისდროინდელ კარიერაში, ისეთივე სტილის შემადგენელი კომპონენტებით შეგირდთა დამუხტვას ანიჭებს უპირატესობას, როგორც მწვრთნელიც. იმაზეც შევთანხმდეთ, რომ ჯვაროსანთა ყოფილ თავკაცს მშვენივრად მოეხსენება თანამემამულეთა პლუს-მინუსები, ასე რომ, ვარაუდი, ლარნაკას სტადიონზე რთული გამოცდის ჩაბარება მოგვიწევსო, გამართლდა.

კვიპროსი – საქართველო 1:2

გოლები: პისასი (პენალტით); მიქაუტაძე, დავითაშვილი.

ზემოთთქმულის მიუხედავად, შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სტუმრები გონებით უკვე ლიდერთან მომავალ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი და კინაღამ დაისაჯნენ. ბედად, მეკავშირეობა იღბალმა გაგვიწია, რადგან ჯერ პირველი გოლი მოგვართვა ხონჩით კუნძულელთა დაცვის ბურჯმა გოგიჩმა, ხოლო შემდეგ ორჯერ კარის ძელმა გვიხსნა, ერთ ეპიზოდში კი მამარდაშვილმა აკრობატული ნახტომით გამოასწორა საკუთარი უხეში შეცდომა.

მოკლედ, კი ვფაფხურობდით და ტერიტორიულ უპირატესობასაც ვფლობდით, მაგრამ ის რაღაც გვაკლდა, რასაც აქამდე ჩვენი ნაკრების სადარბაზო მარათად მივიჩნევდით.

და ეს მაშინ, როცა ფრანგმა სპეციალისტმა სუპერშემტევი შემადგენლობა დააყენა, რომელშიც ადგილი ერთდროულად მოიძებნა კვარაცხელია-მიქაუტაძე-ჩაკვეტაძე-კიტეიშვილის კვარტეტისთვის, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდის გარდა, ამ რგოლმა ვერ იმუშავა. ამავე დროს, სიმბოლურია, რომ ბურთები ლიგა-2-ის სეზონის გმირებმა – მიქაუტაძემ და დავითაშვილმა გაიტანეს. ამ უკანასკნელმა სანიოლს ნდობა დაუფასა და, როგორც რეზერვისტი, ისევე აქტიურად ჩაერთო თამაშში, როგორც შედეგიანი გადაცემის ავტორი ლობჟანიძე.

დაბოლოს – კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა, თორემ საფუძვლიანი პრეტენზიები გვექნებოდა პორტუგალიელ არბიტრ ვერესინოს მიმართ, რომელმაც, მართალია, მთლიანობაში კვალიფიციურად იმსაჯა, მაგრამ, ვფიქრობთ, ლოჩოშვილს პენალტი თითიდან გამოწოვილი საბაბით აჰკიდა.

* * *

საგულისხმო ფაქტი – საქართველოს ესტაფეტა ნიდერლანდებისგან გადმოეცა, სადაც ევროპის ეროვნებათა თასის მესამე გათამაშება პორტუგალიისა და საფრანგეთის კვალად, წინა ტურნირის ფინალისტის – ესპანეთის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა.

2010 წლის მსოფლიოსა და კონტინენტის სამგზის გვირგვინოსნებმა მორიგი ტიტული ახალი მწვრთნელის – დელა ფუენტეს თავკაცობით მოიხვეჭეს: ესპანეთი – იტალია 2:1, ესპანეთი – ხორვატეთი 5:4 (პენალტებით, ძირითადი დრო – 0:0).

◎ აზიურ ტალღაზე

მაკფადენის ფაქტორი

კი გვიხარიოდა – მოახლოებულ ისტორიულ საკალათბურთო მუნდიალს უძლიერესი შემადგენლობით ვხვდებითო, მაგრამ მაშინ, როცა უფალმა ტრავმებისგან დაგვიფარა, საქმეში გაუთვალისწინებელი ფაქტორი ჩაერია.

საუბარია **თად მაკფადენზე,** რომელმაც ესპანური ლიგა ენდესას კლუბ მურსიასთან კონტრაქტი ახლახან გაახანგრძლივა და არის ვარიანტი, რომ ილიას ზუროსის გუნდში აღარ ითამაშოს.

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია წარმატებით დაასრულებს მოლაპარაკებებს რომელიმე ამერიკელ ლეგიონერთან ნატურალიზების თაობაზე.

როგორც ირკვევა, კანდიდატურებიდან ჯერჯერობით ყველაზე სარწმუნოდ გამოიყურება ევროლიგის წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორის მადრიდის რეალის მცველის **ნაიჯელ უილიამს-გოსის** დამატება, რომელიც ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მატჩებში საშუალოდ 15 წუთში 7 ქულასა და თითო-თითო მოხსნა-პასს აგროვებდა.:

ამასობაში თანდათან იკვეთება მომავალი ფორუმის მონაწილეთა კონტურები. უკვე გაუწყეთ, რომ ჯგუფში ჯვაროსანთა მთავარი მეტოქის – სლოვენიის ნაკრების სახელოვანმა ვეტერანმა გორან დრაგიჩმა უარი განაცხადა აზიაში გამგზავრებაზე, ისევე როგორც ტრავმირებულმა კაპიტანმა ედო მურიჩმა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნბა-ს ერთბაშად 10(!) ვარსკვლავი დაიცავს ავსტრალიელთა სპორტულ ღირსებას.

რაც შეეხება მარადიულ ფავორიტ აშშ-ს, მისმა თავკაცმა სტივ კერიმ (გოლდენ სტეიტი) სადღეისოდ მხოლოდ 6 რჩეული დაასახელა: ედვარდსი (მინესოტა, ჰალიბერტონი (ინდიანა), რივზი (ლეიკერსი), ბრანსონი (ნიუ იორკი), პორტისი (მილუოკი) და ბრიჯესი (ბრუკლინი).

თვალი სეფყვით



ფარიკაობა

პლოვდივი (ბულგარეთი). ევროპის პირადი ჩემპიონატი. **ოქრო** – სანდრო ბაზაძე. ჩვენმა ოლიმპიურმა იმედმა და მსოფლიო რეიტინგის მოხმალავე ლიდერმა ტიტული შეინარჩუნა. შეგახსენებთ, რომ მის კოლექციას კონტინენტური ფორუმის 3 ბრინჯაოც ამშვენებს.

ჭიდაობა

გერძნულ-რომაული სტილი. 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. **საქართველო** – 8 მედალი (3 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო). **თავისუფალი სტილი. საქართველო** – 7 მედალი (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 4 ბრინჯაო).

ჩოგბურთი

გელგია. 15-ათასიანი ტურნირი. წყვილთა თანრიგი. **მეორე ადგილი** – ზურაბ ტყემალაძე, ბუვაისა გადამაური (ბელგია).

ხელბურთი

საქართველოს ვაჟთა 33-ე ჩემპიონატი. ფინალი. შავი ზღვის ბიჭები (ბათუმი, მთავარი მწვრთნელი – **მერაბ ჭანტურია)** – პეგასი (თბილისი) 22:21, 23:24 (პენალტებით – 5:2). ეს ზღვისპირელთა მეხუთე ტიტულია. **ქალთა** შორის ყველას ყვარელმა აჯობა.

ჩემპიონთა ლიგა

პიოლნი (გერმანია). ხელბურთელთა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის **ფინალი**. მაგდებურგი (გერმანია) – ვივე კელცე (პოლონეთი) – 30:29 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 26:26). ეს მასპინძელთა მეოთხე ტრიუმფია ისევე, როგორც თანამემამულეთა კილს, ხოლო გუმერსბახს 5 გამარჯვება აქვს მოპოვებული. რეკორდსმენი 11 ტიტულით ბარსელონაა, რომელსაც მასპინძლებმა ნახევარფინალი პენალტებით მოუგეს – 40:39 (31:31, 38:38).

ჭადრაკი

სენტ-ლუისი (აშშ). დიდოსტატ ქალთა ელიტური წრიული ტურნირი კერნსის თასის გათამაშება (საერთო საპრიზო ფონდი – 180 000 დოლარი) 7 ქვეყნის 10 წარმომადგენლის მონაწილეობით. **მესამე ადგილი** – **ბელა ხოტენაშვილი** – 4,5 ქულა. მან 22 500 დოლარი დაიმსახურა. მეხუთე ადგილზე გასულ ნანა ძაგნიძეს (4 ქულა) 15 000 დოლარი გადაეცა.

რუსთავის მერიის ახალი პროექტი „თაობა მომავლისთის“

რუსთავის მერიამ, ქალაქის მართვაში ახალგაზრდების ჩართულობის კიდევ ერთი ახალი პლატფორმა – „თაობა მომავლისთვის“ შექმნა. პროექტის ფარგლებში ქალაქის მერის ნინო ლაცაბიძისა და „თაობა მომავლისთვის“ ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე, რუსთავის მერმა ახალგაზრდებს ქალაქში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების, ასევე პროექტების შესახებ, პრეზენტაცია წარუდგინა. ნინო ლაცაბიძემ დეტალურად ისაუბრა პროექტის „თაობა მომავლისთვის“ ფარგლებში ახალგაზრდებთან კომუნიკაციის ახალ ფორმაზე და ქალაქის მართვის პროცესში დიალოგის ფორმატში, მათთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

„რუსთავში ახალგაზრდებს აქვთ კარგი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ქალაქის ახალ განვითარებაში და პროექტი „თაობა მომავლისთვის“ სწორედ ამის საშუალებას იძლევა. ჩვენ მზად ვართ, ახალგაზრდების ჯგუფისგან მოვისმინოთ ნებისმიერი რეკომენდაცია, სიახლე და ერთად დავგეგმოთ ქალაქში მათი განხორციელების გზები. პროექტი „თაობა მომავლისთვის“, წელს დავიწყეთ და მისი გაგრძელება, არის ძალიან მნიშვნელოვანი, იმისთვის, რომ ახალგაზრდებთან მუდმივად გვქონდეს კომუნიკაცია და ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ერთად ვიმსჯელოთ“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

„თაობა მომავლისთვის“ ფარგლებშიც, ნინო ლაცაბიძე რუსთავის ყველა კერძო და საჯარო სკოლის უფროსკლასელს შეხვდა. რუსთავის მერმა მათ ქალაქის ახალი განვითარების გეგმა გააცნო.

„თაობა მომავლისთვის“ არც ერთი წევრი არ არის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი და მისი მუშაობის მთავარი პრინციპი, ქალაქის მართვაში ახალგაზრდების ჩართვა და რეალური თვითმმართველობის განხორციელებაა.

ფსიქიკური პრობლემები ქართველ ბავშვებში

ქართველ მოსწავლეებში ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა ტიპის პრობლემა გამოვლინდა. სანფრანცისკოს უნივერსიტეტის ბავშვთა ფსიქიატრებთან და ფსიქოლოგებთან თანამშრომლობით, საქართველოს 5 დიდი ქალაქის 211 საჯარო სკოლაში მასშტაბური კვლევა ჩატარდა.

სკრინინგული კითხვარის შევსების შედეგად ბავშვებში ზოგადი ფსიქიკური ჯანმრთელობა შეისწავლეს, კვლევაში 16 654 მე-3 კლასელი მონაწილეობდა, რომელთაგან 12%-ს ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა ტიპის აშლილობა აღმოაჩნდა. შემთხვევათა უმრავლესობაში მშობელმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მესტიას ქაოსური მშენებლობები საფრთხეს უქმნის

ულამაზეს და ავთენტურ მესტიაში, ერთ-ერთი სასტუმროს დამფუძნებელი ეკა გველესიანი აცხადებს, რომ მომავალში შესაძლოა მესტია ტურისტულად მიმზიდველი აღარ იყოს.

მისი თქმით, მესტიის გენგეგმა ამ დრომდე არ დამტკიცებულა, რის გამოც ქალაქში შენობები ყოველგვარი წესებისა და სტანდარტების გარეშე შენდება. ქაოსური განაშენიანება კი, მესტიის ტურისტულ პოტენციალს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის.

„ამის გამო არც ერთი სტუმარი აღარ ჩამოვა დასავლეთ ევროპიდან ან იმ ქვეყნებიდან, რომელზეც გვაქვს ორიენტირი, ვგულისხმობ მაღალ მსყიდველუნარიან ტურისტებს. თუ მათ ის ავთენტური გარემო აღარ დახვდებათ, რის გამოც ისინი აქაურობას სტუმრობენ, კორპუსის ტიპის სასტუმროებში დასასვენებლად ნამდვილად არავინ ჩამოვა. გარდა ამისა, განაშენიანების გენგეგმის დამტკიცება პარკირებისა და საცობების პრობლემასაც მოაგვარებდა, რაც განსაკუთრებით ზაფხულში მწვავდება. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, ვინც ამას ვერ ხვდება და ასევე სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ რეაგირებას მთავრობის მხრიდან. ასე ვთქვათ, მიტოვებულები ვართ. იმედია, რაღაც შეიცვლება“, – აცხადებს სასტუმრო „ფალიანის“ დამფუძნებელი, ეკა გველესიანი.



ცნობისთვის: მესტიისა და მულახის სივრცითი მოწყობისა და მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა 2016 წელს დაიწყო. მულახის გენგეგმა დამტკიცდა, თუმცა მესტიას ამ დრომდე არ აქვს დოკუმენტი, რითიც მისი განაშენიანება უნდა მოხდეს.

რუსუდან ქოგულია

აჭარაში ზღვის წყლის ხარისხი დასაშვებ ნორმაშია

გარემოს დაცვისა და მუნიციპალური მომსახურების სამინისტროს ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში სარფი ჩოლოქის მონაკვეთზე 7 წერტილში (ბათუმის ცენტრალური პლაჟი, აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორია, კვარიათი, სარფი, ქობულეთის ცენტრალური პლაჟი, ბობოყვათის მიმდებარე ტერიტორია და მწვანე კონცხი) ზღვის წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევები ჩაატარა. ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით ზღვის წყლის ხარისხი მთელ პერიმეტრზე 7-ვე წერტილში დასაშვები ნორმის ფარგლებშია და იგი გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით გაუმჯობესებულია. მიმდინარე წელსაც როგორც ყოველთვის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები დადასტურდა სარფი-კვარიათისა და მახინჯაური-მწვანე კონცხის ტერიტორიებზე, დადებითი მაჩვენებლებია სხვა დანარჩენ წერტილებშიც.

კვლევები ტარდება შემდეგ მაჩვენებლებზე: ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები, ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირები, ენტეროკოკი, კოლიფაგები, სალმონელას ბაქტერიები. სინჯების აღება ხდება მცურავი საშუალების გამოყენებით ნაპირიდან 50 მეტრის რადიუსში.

გარდაიცვალა ვანო ნარმანია

„თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების“ გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 85 წლის ასაკში, ქ. ფოთში გარდაიცვალა ცნობილი პროფესიონალი და საზოგადო მოღვაწე, სკოლისა და ახალგაზრდობის წლების მეგობარი

ვანო ნარმანია

და გულითად სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ძვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, პეტრე ბერაია, ვახტანგ გვარამია, ჯემალ კვირტია, ბესლან ძორძია, გია სვანიძე, ლიანა წურწუმია, თენგიზ უჩანეიშვილი, ვახტანგ ჩიძოვანი.

თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, №39-ში მცხოვრებნი დიდი გულისტკივილით იუწყებიან ენგურჰესის მშენებლობის აქტიური მონაწილის, ღვაწლმოსილი ინჟინრის, სამეზობლოში დაფასებული და გამორჩეული პიროვნების

დემურ მიხეილის ძე აბზიანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი ღრმა წუხარებას გამოთქვამს ნეიროქირურგის, ექიმ

იური კურახჭიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 21.06. 17:00 სთ; გამოსვენება ხუთშაბათს 22.06. 14:00 სთ, შარტავას ქ. №16ა, ბინა 33.

წუნკი, მოძალადე, მძარცველი დააკავეს

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1985 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი მ.ბ. არასრულწლოვნებით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებული მ.ბ. ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, არასრულწლოვანი გერების – 2006 წელს დაბადებული რ.ჰ.-ს და 2007 წელს დაბადებული მ.ჰ.-ს შრომით ექსპლუატაციას სისტემატურად ახდენდა. ბრალდებული მათ ნაგვის ურნებიდან სხვადასხვა ნივთების შეგროვებას და ჩაბარებას აიძულებდა, გამომუშავებულ თანხას სრულად ისაკუთრებდა. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნები არ დაემორჩილებოდნენ მ.ბ.-ს მოთხოვნებს, ბრალდებული მათ ფიზიკურად უსწორდებოდა.

ვულოცავთ!

მისი დამსახურება მართლაც აუწონელია

80 წლის იუბილეს ვულოცავთ ყოფილი პურპროდუქტების კორპორაციის მთავარი ენერგეტიკის სამსახურის ხელმძღვანელს, შესანიშნავ ინჟინერს, მაღალი რანგის პროფესიონალს

ალეკო ყიფიანს

მისი დამსახურება მართლაც აუწონელია — ენერგოკრიზისისა და საქართველოში დატრიალებული ძნელბედობის ჟამს მისი მეცადინეობითა და თავდადებით შეუფერხებლად მიეწოდებოდა პურპროდუქტები მოსახლეობას.

ბრწყინვალე ოჯახიშვილს, თავდადებულ მეგობარსა და გამორჩეულ მოქალაქეს ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის სახელით

მალხაზ დოლიძე

ქუჩის პოპულარული მხატვრის გამოფენა გლაზგოში

გლაზგოში, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ბრიტანელი ქუჩის მხატვრის, ბენქსის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

ექსპოზიცია სახელწოდებით („გამოჭერი და გაიქეცი: გრაფიკასთან მუშაობის 25 წელი“) 28 აგვისტომდე გაგრძელდება და ეს მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენაა ბოლო 14 წლის განმავლობაში. გამოფენაზე წარმოდგენილია ბენქსის მიერ 21-ე საუკუნეში შექმნილი გრაფიტების ასლები. ამასთან, გამოფენილია ტრაფარეტებიც, რომლებითაც ეს გრაფიტები იქმნებოდა. ბენქსიმ თავისი ნამუშევრები ბოლო 2015 წელს, სომერსეტის საგრაფოში გამოფინა, თუმცა ის ექსპოზიცია კოლექტიური იყო.

გაუსაძლის სიცხეს შეეწირნენ

ინდოეთის შტატებში, უტარ-პრადეესა და ბიჰარში, ბოლო სამი დღის განმავლობაში, ძლიერი სიცხის გამო 100-მდე ადამიანი დაიღუპა.

ბოლო სამი დღის განმავლობაში ბალიას რაიონულ საავადმყოფოში სულ მცირე 400 ადამიანი მოათავსეს.

პაციენტები უჩივიან სიცხეს, ქოშინს. რაიონული ხელისუფლების ინფორმაციით, საავადმყოფოში მოწყობილია კონდიციონერები პაციენტებისა და პერსონალისთვის. ინდოეთის მეტეოროლოგიური დეპარტამენტის ინფორმაციით, ქვეყნის ზოგიერთ რაიონში მაქსიმალური ტემპერატურა 42,2 გრადუსს აღემატებოდა.

ბრუნო მარსის კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყო

1 ოქტომბერს საქართველო ბრუნო მარსს უმასპინძლებს. მსოფლიო ვარსკვლავი, კამპანია „Starring Georgia-ს“ ფარგლებში, მსმენელის წინაშე „დინამო არენაზე“ წარდგება.

ბილეთები უკვე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე TKTge.BSA.ge-ის აპლიკაციაში. მათი ფასი 125 ლარიდან 1450 ლარამდე მერყეობს, თუმცა Starring Georgia-ს, თიბისისა და VISA-ს პარტნიორობის ფარგლებში რამოდენიმე ტიპის ფასდაკლება მოქმედებს: თიბისი მოსწავლის ან სტუდენტის Visa ბარათით გადახდისას Star Ring-ის კატეგორიის ბილეთებზე 30%-იანი ფასდაკლებას მიიღებთ;

თიბისი Visa ბარათით გადახდისას ნებისმიერი კატეგორიის ბილეთზე 20% ფასდაკლებას მიიღებთ;

თიბისი კონცეპტის მშთფ ბარათით გადახდისას ORBIT და VIP კატეგორიის ბილეთებზე 30%- იან ფასდაკლებას მიიღებთ.

აღსანიშნავია, რომ 1 მომხმარებელს მაქსიმუმ 4 ბილეთის შეძენა შეუძლია. TKT.ge-ზე ყველა კატეგორიის ბილეთის ყიდვას შეძლებთ, Super App-ში – Sat Ring-ისა და ORBIT-ის ბილეთები დაგხვდებათ, ხოლო BSA.ge-ზე მხოლოდ Star Ring-ის. BSA.ge-ზე არ იმოქმედებს თიბისის ფასდაკლება.

ოპერაციის შემდეგ პირველად იქადაგა



რომის პაპი ფრანცისკე საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ საჯაროდ პირველად გამოჩნდა.

პონტიფიკოსმა ვატიკანში წმინდა პეტრეს მოედანზე მორწმუნეებისთვის იქადაგა. მან ქადაგებისას თქვა, რომ არ უნდა დაივიწყონ **„სულტანჯული უკრაინა“.** ასევე ისაუბრა მიგრანტების მასობრივ დაღუპვაზე ეგეოსის ზღვაში და უგანდის სკოლის თავდასხმაზე.

ინფორმაციისთვის, ივნისის დასაწყისში პონტიფიკოსს ოპერაცია გაუკეთეს. ის სამედიცინო დაწესებულებიდან 16 ივნისს გაწერეს.

გაცოცხლდა რადგან... ერთ კვირაში გარდაცვლილიყო

ეკვადორის ქალაქ გაგაჰოიოში ქალი, რომელიც საკუთარ გასვენებაში გაცოცხლდა, ერთ კვირაში საავადმყოფოში გარდაიცვალა. 76 წლის ბელა მონტოია ექიმებმა პირველად გარდაცვლილად 9 ივნისს გამოაცხადეს, მაგრამ როდესაც ის დამკრძალავ ბიუროში გადაასვენეს, იქ ნათესავებმა სასახლიდან კაკუნის ხმა გაიგონეს. როდესაც აღმოაჩინეს, რომ ქალი ცოცხალია, ის საავადმყოფოში დააბრუნეს.

მონტოიამ 7 დღე რეანიმაციაში გაატარა და 16 ივნისს იშემიური ინსულტისგან გარდაიცვალა. ექიმები ამბობენ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალი მედიკოსების დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა.

ბელა მონტოია ერთადერთი ადამიანი არ არის, რომელიც „გაცოცხლდა“ მას შემდეგ, რაც ის გარდაცვლილად გამოაცხადეს. 2023 წლის თებერვალში აშშ-ის ნიუ-იორკის შტატში დამკრძალავ ბიუროში 82 წლის ქალი გაცოცხლდა, რომელიც სამი საათით ადრე გარდაცვლილად გამოაცხადეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 22 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6164; ევრო - 2.8602;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3393;
100 რუბლი - 3.1006; თურქული ლირა - 0.1101;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5346;
1000 სომხური დრამი - 6.7505

ამინდი 21 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge